ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ე.

წარმომადგენელი: ნ. ე.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.11.2014

საჩივრის რეგისტრაციის №096/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ც. მ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ე.-მ და მოითხოვა ადვოკატ ც. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, სამოქალაქო საქმეზე იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ც. მ.-ს, რომელთანაც ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 28 მაისს წერილობითი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები, კერძოდ, იგი არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და არც ოჯახის წევრები გააფრთხილა სხდომის თარიღის შესახებ, რასაც მოყვა საჩივრის ავტორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება; ადვოკატმა სასამართლოში არ წარადგინა კლიენტის მიერ მოპოვებული დოკუმენტაცია (სხვენის შეკეთების ნახაზი და ექსპერტიზის დასკვნა) საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე; ასევე არ წარადგინა სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთი; ადვოკატმა არ წარადგინა შეგებებული სარჩელი, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა იცოდა კლიენტის აღნიშნული სურვილი; ადვოკატმა საჩივრის ავტორს ელ. მიმოწერით აცნობა, რომ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილი ჰქონდა, რაც სიცრუე აღმოჩნდა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ერთ-ერთი საფუძველი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა გახდა; ადვოკატს კლიენტისთვის/მისი ოჯახის წევრებისთვის არ მოუთხოვია სააპელაციო საჩივრის წარდგენისას სახელმწიფო ბაჟის თანხის მისთვის გადაცემა; ამ დროისათვის, მინდობილობის ვადის გასვლის გამო, ადვოკატს უკვე შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება; კლიენტის მცდელობას, დაკავშირებოდა ტელეფონით ადვოკატს, ეს უკანასკნელი არ პასუხობდა ან თუ პასუხობდა, ამბობდა, რომ ცუდად ესმოდა და გადარეკავდა მოგვიანებით, რასაც არ ასრულებდა. ამავე დროს ადვოკატი შეუფერხებლად პასუხობდა უცნობ სატელეფონო ზარებს.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ნ. ე.-მა, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2015 წლის 17 თებერვლის სხდომაზე, დაადასტურა საჩივრის ავტორის პრეტენზიები და მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.5 წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატთან გაფორმდა ხელშეკრულება, მას გადაეცა საადვოკატო მომსახურების საზღაური და ამის შემდეგ ადვოკატმა დაიწყო საქმის წარმოება. ადვოკატისგან მიღებული ინფორმაციით, იგი შეხვდა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატებს. ადვოკატმა სასამართლოში შეიტანა შესაგებელი, შემდეგ იგი კლიენტს მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას, რომ სხდომა რამდენჯერმე გადაიდო; საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, თავიდან ადვოკატი მუშაობდა, ექსპერტი მიიყვანა სადაო ფართის ექსპერტიზისთვის, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაურთულდა კლიენტს ადვოკატთან ურთიერთობა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სასამართლოს მიერ მთავარი სხდომის თარიღის განსაზღვრის დროს, ადვოკატი კენჭს იყრიდა გამგებლის პოზიციაზე და საქმე ფაქტიურად მიტოვებული ჰქონდა. მთავარი სხდომის შესახებ ადვოკატს ინფორმაცია კლიენტის ან მისი ოჯახის წევრებისთვის არ მიუწოდებია.

1.6 წარმომადგენლის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატება არა მხოლოდ ადვოკატთან კომუნიკაციის გართულებაში, არამედ ადვოკატის მომსახურების მიმართაც, კერძოდ, მან არ წარადგინა სასამართლოში საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ წინასწარ არ აცნობა კლიენტს.

1.7 განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2015 წლის 22 ოქტომბერს მომჩივანის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საჩივარს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ი. ე.-ის საჩივარი ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ, ადვოკატის დავალებით ჩაიბარა ნ. ფ.-მ 21 ნოემბერს, თუმცა, საჩივარზე ადვოკატს ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია. ადვოკატ ც. მ.-ს ელექტრონულ მეილზე ts.m.. დაუკავშირდა ეთიკის კომისიის აპარატი, ვინაიდან ადვოკატთა ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე: 555 XX XX XX ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელი იყო. ადვოკატმა ამავე ელექტრონულ ფოსტაზე მოიწერა, რომ არ იმყოფებოდა საქართველოში და როგორც კი ჩამოვიდოდა, ეთიკის კომისიას დაუკავშირდებოდა, ეს დაახლოებით 2014 წლის 17 დეკემბრის შემდეგ იქნებოდა. ადვოკატ ც. მ.-ს განმარტების მოსასმენად ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩაინიშნა 17 თებერვალს 14:00 სთ-ზე, რაც ადვოკატს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობა. ადვოკატმა პასუხად მოიწერა, რომ კვლავ არ იმყოფებოდა საქართველოში და 18 თებერვალს წარმოადგენდა წერილობით ახსნა-განმარტებას. ადვოკატმა 17 თებერვალს ვერც სკაიპის მეშვეობით შეძლო საპროცესო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობა იმ მიზეზით, რომ სხდომის თარიღი აერია და სხვა დღეს ეგონა სხდომა. 2015 წლის 05 მარტს ადვოკატმა წერილობითი ახსნა-განმარტება გამოაგზავნა ელექტრონული ფოსტით.

2.2 ადვოკატმა ც. მ.-მ განმარტა, რომ ის კლიენტს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს შორის წარმოშობილ დავაზე. ადვოკატმა დადგენილ ვადებში წარადგინა შესაგებელი და გააფორმა ყველა საამისოდ აუცილებელი დოკუმენტი. ყველა იმ სხდომას, რომელიც ჩატარდა ადვოკატი ესწრებოდა კეთილსინდისიერად, ხოლო ბოლო სხდომაზე ვერ მოახერხა დასწრება სსსკ–ით დადგენილი მიზეზით, რის შესახებაც მიღებული წესის თანახმად აცნობა სასამართლოს, აღნიშნული მიზეზი, როგორც შემდეგში გაირკვა არ მიიღო საპატიოდ სასამართლომ, თუმცა არც დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიუღია. აპელაციის ეტაპზე, უკვე საკუთარი ინიციატივით ადვოკატმა შეწყვიტა ცალმხრივად წარმომადგენლობითი ურთიერთობა, თუმცა ამ დროს მინდობილობის ვადა გასული იყო. ადვოკატს სახელმწიფო ბაჟის საკითხთან მიმართებაში მომჩივანის არსებული პრეტენზია დაუსაბუთებლად მიაჩნია. ამ ეტაპის შემდეგ უცნობია მისთვის საქმის მიმდინარეობა.

2.3 ადვოკატ ც. მ.-ს ეცნობა განხილვის კოლეგიის სხდომის თარიღი - 19 ოქტომბერი როგორც ფოსტის, ასევე ელექტრონული ფოსტისა და სკაიპის მეშვეობით. ადვოკატმა განმარტა, რომ ის სხდომაში ტექნიკური საშუალების გამოყენებით - სკაიპის მეშვეობით მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა 19 ოქტომბერს ის არ ჩაერთო სხდომაში. განხილვის სხდომა გადაიდო 22 ოქტომბერს, რაც იგივე ფორმებით ეცნობა ადვოკატს. ადვოკატს სხდომის შესახებ შეტყორბინება ჩაბარდა. ადვოკატის განმარტებით მისთვის სხდომის თარიღი მისაღები. 22 ოქტომბერს განხილვის სხდომაზე ეთიკის კომისიის რამდენიმე მცდელობის მიუხედავად ც. მ.-მ გათიშა ვიდეო ზარი და არ ჩაერთო საქმის განხილვაში.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ 2015 წლის 25 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ც. მ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით ვინაიდან დასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ც. მ.-მ მხარეთა შეთანხმების მიხედვით არ შეადგინა შეგებებული სარჩელი და არ წარადგინა სასამართლოში, არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, არც ოჯახის წევრები გააფრთხილა სხდომის თარიღის შესახებ და არ წარადგინა მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთი, ადვოკატმა არ წარადგინა მტკიცებულებები, ადვოკატმა სააპელაციო სასამართლოში არც თავად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი (150 ლარი) და არც საჩივრის ავტორის ოჯახის წევრებს მოსთხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“, ,,ბ“ და ,,ე“ ქვეპუნქტები; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ც. მ. კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას აწვდიდა არასრულად, ხშირ შემთხვევაში დაგვიანებით და ზოგჯერ მცდარ ინფორმაციას, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი:

II სამოტივაციო ნაწილი

3. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1 ადვოკატი ც. მ. წარმოადგენდა ი. ე.-ის ინტერესებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ დავაზე სასამართლოში. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ,,მარწმუნებლის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავა იბა ,,პ.-ის 3/5“-ის კრების ოქმის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული ურთიერთობები და ამ დავის ფარგლებში შეგებებული სარჩელის მომზადება. ამასთან, მომსახურება ასევე გულისხმობს, მარწმუნებლის ინტერესების შესაბამისად, აღნიშნული დავის ფარგლებში სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში მონაწილეობას.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2013 წლის 30 მაისს ადვოკატ ც. მ.-სა და ი. ე.-ს შორის დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ;

2. რწმუნებულება/მინდობილობა NXXXXXXX, რეგისტრაციის თარიღი: 28.05.2013წ.

3.2 ადვოკატმა ც. მ.-მ 2013 წლის 04 ივნისს მიმართა სასამართლოს განცხადებით სარჩელისა და თანდართული მასალების გაცნობის მიზნით; ადვოკატმა მოამზადა და 2013 წლის 14 ივნისს წარადგინა შესაგებელი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2013 წლის 04 ივნისის განცხადება N2XXXX
2. 2013 წლის 14 ივნისის შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე N25XXXX

3.3 ადვოკატ ც. მ.-ს სასამართლოს შეტყობინება სხდომის ჩანიშვნის შესახებ ჩაბარდა, მაგრამ ადვოკატი არ გამოცხადდა 14 მაისს სასამართლო სხდომაზე. 14 მაისს ჩანიშნული იყო მოსამზადებელი სხდომა. სხდომის დღეს სხდომამდე ადვოკატმა წერილობითი შუამდგომლობით - სხდომის გადადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ბებიის გარდაცვალების გამო. ადვოკატის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში და მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 10 აპრილის სასამართლოს უწყება (ხელწერილი) სასამართლო სხდომაზე გამოძახებისა (დაბარებისა) და გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ
2. ადვოკატ ც. მ.-ს 2014 წლის 14 მაისის განცხადება N49XXXX
3. 2014 წლის 14 მაისის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმი საქმეზე N2-6939-13
4. 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე NX/XXXX-13

3.4 2014 წლის 20 ივნისს ადვოკატმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი. ადვოკატს ჩაბარებული არ ჰქონდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაში მიუთითა გადაწყვეტილების გაუქმება და იმ საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ. 2014 წლის 17 ივლისს დადგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე საქმეზე Xბ/XXXX-XX, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი არ იყო გადახდილი, საჩივარს არ ერთვოდა მინდობილობა, დასაზუსტებელი იყო სააპელაციო საჩივარი. აპელანტს დაევალა ხარვეზების აღმოფხვრა 10 დღის ვადაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 20 ივნისის სააპელაციო საჩივარი NX-XXXXXX
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ საქმეზე NXXXXXXXXXXX

3.5 2014 წლის 29 სექტემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო, ი. ე.-ის წარმომადგენლობითი ფუნქცია შეწყვეტილი ჰქონდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
ადვოკატ ც. მ.-ს 2014 წლის 29 აგვისტოს განცხადება N21XXXX

3.6 2014 წლის 13 ოქტომბრიდან ახალმა ადვოკატმა გააგრძელა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა, წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი რომელიც 2014 წლის 20 ოქტომბერს წარმოებაში მიიღო სააპელაციო სასამართლომ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 05 ნოემბრის განჩინება სასამართლო სხდომის დამიშვნის შესახებ საქმეზე NXბ/XXXX-XX

3.7 ადვოკატ ც. მ.-ს არ მიუმართავს სასამართლოსთვის შეგებებული სარჩელით, თუმცა ადვოკატმა შესაგებელში მიუთითა, რომ მხარე აპირებდა შეგებებული სარჩელის აღძვრას მოსარჩელის მიერ უკანონოდ მიტაცებული საერთო სარგებლობის ფართების გამოთხოვის, ხელშეშლის აღკვეთისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლებით. 2013 წლის 28 მაისის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ადვოკატს მითითებული აქვს, რომ საადვოკატო მომსახურება მოიცავდა შეგებებული სარჩელის მომზადებასაც.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
1. 2013 წლის 14 ივნისის შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე NXXXXXX
2. 2013 წლის 30 მაისს ადვოკატ ც. მ.-სა და ი. ე.-ს შორის დადებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ;

3.8 ადვოკატი ატყობინებს კლიენტს, რომ მის საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული არ იყო, მაშინ როდესაც 2014 წლის 14 მაისს პირველი ინსტანციის სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება.

3.9 კლიენტი წინასწარ არ ყოფილა ინფორმირებული, რომ ადვოკატი ვერ გამოცხადდებოდა 2014 წლის 14 მაისს სასამართლო სხდომაზე.
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. 2014 წლის 19 ნოემბრის საჩივარი
2. 2015 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი
3. განხილვის კოლეგიის 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი
4. ადვოკატ ც. მ.-ს 2015 წლის 05 მარტის განმარტება
5. ი. ე.-ისა და ადვოკატ ც. მ.-ს ელექტრონული მიმოწერა (2014 წლის 08-09 ივლისის წერილები, 25 ივნისის პასუხი 2014 წლის 21 ივნისის წერილზე; 2014 წლის 10, 11, 13 ივლისის, 2014 წლის 16 სექტემბრის წერილები)

3.10 ადვოკატმა განუმარტა კლიენტს, რომ მისი გამოუცხადებლობა 2014 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, და წარდგენილი ჰქონდა შესაბამისი ცნობები და მისი გამოუცხადებლობა გავლენას ვერ იქონიებდა გადაწყვეტილებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. 2014 წლის 19 ნოემბრის საჩივარი
2. 2015 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი
3. განხილვის კოლეგიის 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი
4. ადვოკატ ც. მ.-ს 2015 წლის 05 მარტის განმარტება
5. ი. ე.-ისა და ადვოკატ ც. მ.-ს ელექტრონული მიმოწერა (2014 წლის 08-09 ივლისის წერილები, 25 ივნისის პასუხი 2014 წლის 21 ივნისის წერილზე; 2014 წლის 10, 11, 13 ივლისის, 2014 წლის 16 სექტემბრის წერილები)

3.11 ადვოკატმა კლიენტს მოაწოდა ინფორმაცია: კერძოდ ის ი. ე.-ს 2014 წლის 16 სექტემბერს წერდა, რომ დავა სააპელაციო სასამართლოში იხილებოდა, გადახდილი იყო დამატებით სახელმწიფო ბაჟი - 150 ლარი და ელოდებოდნენ სასამართლო სხდომის ჩანიშვნას; ფაქტობრივად, სააპელაციო საჩივარზე (საქმე Xბ/XXXX-XX) 2014 წლის 17 ივლისს დადგინდა ხარვეზი, რომლის მიხედვითაც სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, დასაზუსტებელი იყო საჩივრის მოთხოვნა, ასევე საჩივარს არ ერთვოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარს წარმომადგენელი აწერდა ხელს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. 2014 წლის 19 ნოემბრის საჩივარი
2. 2015 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი
3. განხილვის კოლეგიის 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი
4. ადვოკატ ც. მ.-ს 2015 წლის 05 მარტის განმარტება

5. ი. ე.-ისა და ადვოკატ ც. მ.-ს ელექტრონული მიმოწერა (2014 წლის 08-09 ივლისის წერილები, 25 ივნისის პასუხი 2014 წლის 21 ივნისის წერილზე; 2014 წლის 10, 11, 13 ივლისის, 2014 წლის 16 სექტემბრის წერილები)
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ საქმეზე NXXXXXXXXXXXXXX

3.12 2014 წლის 29 სექტემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ ი. ე.-ის წარმომადგენლობითი ფუნქცია თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო შეწყვეტილი ჰქონდა. საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურებისთვის 13 ოქტომბრიდან ახალი ადვოკატი ჩართო საქმეში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 19 ნოემბრის საჩივარი
2. 2015 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი
3. განხილვის კოლეგიის 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი
4. ადვოკატ ც. მ.-ს 2015 წლის 05 მარტის განმარტება
5. ადვოკატ ც. მ.-ს 2014 წლის 29 აგვისტოს განცხადება NXXXXXX

3.13 საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2014 წლის 19 ნოემბრის საჩივარი
2. 2015 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი
3. განხილვის კოლეგიის 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის ოქმი
6. ადვოკატ ც. მ.-ს 2015 წლის 05 მარტის განმარტება
7. ი. ე.-ისა და ადვოკატ ც. მ.-ს ელექტრონული მიმოწერა (2014 წლის 08-09 ივლისის წერილები, 25 ივნისის პასუხი 2014 წლის 21 ივნისის წერილზე; 2014 წლის 10, 11, 13 ივლისის, 2014 წლის 16 სექტემბრის წერილები)

4. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ც. მ.-ს მიერ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ც. მ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

5.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა", ,,ბ" და ,,ე" ქვეპუნქტები: ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ადვოკატის მოვალეობაა კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები", ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები," ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატმა უნდა ,,შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები."

5.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს."

5.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა".

5.2 კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

5.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/10 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული."

5.4 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. განხილვის კოლეგია, ეთიკის კომისიის შეზღუდული კომპეტენციის გათვალისწინებით, ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასებისას, მიიჩნევს, რომ თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება, ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.

5.5 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №066/10/ დადგინდა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის."

5.6 მომჩივანსა და ადვოკატ ც. მ.-ს შორის 2013 წლის 28 მაისს დადებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ,,მარწმუნებლის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავა იბა ,,პ.-ის 3/5"-ის კრების ოქმის ბათილად ცნობასთან დაკავშირებული ურთიერთობები და ამ დავის ფარგლებში შეგებებული სარჩელის მომზადება. ამასთან, მომსახურება ასევე გულისხმობს, მარწმუნებლის ინეტერესების შესაბამისად, აღნიშნული დავის ფარგლებში, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში მონაწილეობას." ი. ე.-მ ადვოკატ ც. მ.-ს 28 მაისს NXXXXXXX რწმუნებულებით მიანიჭა მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება 1 წლის ვადით.

5.7 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი NX/XXXX-XX სამოქალაქო საქმის (მოსარჩელე: ი. ბ.ი, მოპასუხეები: ამხანაგობა ,,ს. პ.", ი. ე., მოთხოვნა - კრების ოქმის ბათილად ცნობა) მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ც. მ.-მ 2013 წლის 04 ივნისს მიმართა სასამართლოს განცხადებით სარჩელისა და თანდართული მასალების გაცნობის მიზნით; ადვოკატმა მოამზადა და 2013 წლის 14 ივნისს წარადგინა შესაგებელი. ადვოკატი გამოცხადდა შემდეგ სხდომებზე: მოსამზადებელი სხდომა 07.02.14; მეორე მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 21.02.14; ც. მ.-მ 20.02.14 წარადგინა განცხადება სხდომის გადადების შესახებ და მიუთითა, რომ სხდომაზე მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ვინაიდან იმავე დროს იხილებოდა მისი სხვა კლიენტის სისხლის სამართლის საქმე. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სხდომა გადაიდო 07.03.14; 07 მარტს ჩანიშნული სხდომა მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო გადაიდო 2014 წლის 10 აპრილს; მოსამართლის არყოფნის გამო, 10 აპრილს ჩანიშნული სხდომა გადაიდო 2014 წლის 14 მაისს. 14 მაისს სხდომამდე ადვოკატმა წერილობითი შუამდგომლობით - სხდომის გადადების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ბებიის გარდაცვალების გამო. ადვოკატის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ადვოკატს არ ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში და მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ 2014 წლის 20 ივნისს ადვოკატმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი. ადვოკატს ჩაბარებული არ ჰქონდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაში მიუთითა გადაწყვეტილების გაუქმება და იმ საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ. 2014

წლის 17 ივლისს დადგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე საქმეზე Xბ/XXXX-XX, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი არ იყო გადახდილი და საჩივარს არ ერთვოდა მინდობილობა. ადვოკატს დაევალა დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა 10 დღის ვადაში. 2014 წლის 29 სექტემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო, ი. ე.-ის წარმომადგენლობითი ფუნქცია შეწყვეტილი ჰქონდა.

5.8 2014 წლის 13 ოქტომბრიდან ახალმა ადვოკატმა გააგრძელა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა, წარადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რომელიც 2014 წლის 20 ოქტომბერს წარმოებაში მიიღო სააპელაციო სასამართლომ.

5.9 განხილვის კოლეგია ადვოკატ ც. მ.-ს მიერ განხორციელებული საადვოკატო მომსახურების შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: ადვოკატმა 2013 წლის 14 ივნისს წარადგინა შესაგებელი, რომელშიც მიუთითა, რომ მხარე აპირებდა შეგებებული სარჩელის აღძვრას მოსარჩელის მიერ უკანონოდ მიტაცებული საერთო სარგებლობის ფართების გამოთხოვის, ხელშეშლის აღკვეთისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ საფუძვლებით. 2013 წლის 28 მაისის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში ადვოკატს მითითებული აქვს, რომ საადვოკატო მომსახურება მოიცავდა შეგებებული სარჩელის მომზადებასაც, თუმცა, სასამართლოში შეგებებული სარჩელი არ წარუდგენია. ადვოკატმა შესაგებელს დაურთო ხელშეკრულება ამხანაგობის დაფუძნების შესახებ, მინდობილობები და დააყენა იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების შესახებ შუამდგომლობა, რომელიც დაადასტურებდა შესაგებელში გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს და მოითხოვა მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენისა და მხარეთა მორიგების მიზნით. მოსამზადებელი სხდომების ოქმებითა და NX/XXXX-XX სამოქალაქო საქმის მასალებით დგინდება, რომ საქმის მიმდინარეობისას ადვოკატ ც. მ.-ს, გარდა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებისა და მინდობილობებისა, სასამართლოში სხვა მტკიცებულება არ წარუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ შესაგებელში უთითებდა მტკიცებულებათა გადავადების შუამდგომლობის შესახებ. ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა 14 მაისს ბებიის გარდაცვალების გამო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, რომელიც დაუსაბუთებული იყო, ამასთან, კლიენტს/კლიენტის ოჯახის წევრებს (კლიენტი არ იმყოფებოდა საქართველოში) არ აცნობა სხდომის თარიღი და მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო მეხუთე მოსამზადებელი სხდომა; ადვოკატმა სააპელაციო საჩივარში, ძირითად მოთხოვნასთან ერთად, დააყენა იმ საოქმო განჩინების გაუქმების საკითხი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ, თუმცა არც ამჯერად წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულება; ადვოკატმა კლიენტს/კლიენტის ოჯახის წევრებს არ მიმართა სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხის მისაღებად, რაც სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

5.10 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა კლიენტმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი

შედეგები, ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. ადვოკატს წერილობითი ხელშეკრულებისა და რწმუნებულებით ჰქონდა ვალდებულება ეწარმოებინა კლიენტის საქმე. ადვოკატს კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით ევალება კეთილსინიდიერად, კვალიფიციურად განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა სათანადო გულმოდგინეობითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კანონს.

5.11 ადვოკატმა 14 მაისს იცოდა, რომ ვერ ცხადდებოდა სხდომაზე, შესაბამისად 14 მაისს რისკი შეექმნა კლიენტის - ი. ე.-ის ინტერესს. ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეიტანა განცხადება პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ. ადვოკატი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო საქმის მისი კლიენტის ინეტერესისათვის ყველაზე ცუდი შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც, პროცესუალური კანონით დაიცავდა კლიენტის ინტერესს და უარყოფითი გადაწყვეტილების გაუქმებას შეძლებდა.

5.12 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე 034/11 განმარტა, რომ ,,მის კომპეტენციაში არ შედის დაადგინოს, თუ რა სამართლებრივ სტრატეგიას დასახავს ადვოკატი საქმის წარმოებისას, თუმცა, კომისიის მოსაზრებით, ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის რამდენად დიდი გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს, მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება კანონის ძალით არ არის სასამართლოსთვის დადგენილი იურიდიული ძალის მქონე და შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმ საფრთხეების განჭვრეტა, რაც გონივრულ ფარგლებში შეიძლება შეფასდეს, როგორც რისკისშემცველი კლიენტის ინეტერესებისათვის.“ ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ,,მნიშვნელოვანია საქმეთა პარალელურად წარმოებისას ორ და მეტ სამუშაო ადგილზე საქმიანობისას ადვოკატი საკუთარ თავზე იღებდეს რისკს ასწიოს ის ტვირთი, რომელიც რამდენიმე ადგილას მუშაობას უკავშირდება, ვინაიდან იურისტის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგი კონკრეტულ პირთა ინტერესებს ეხება.“

5.13 საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ელექტრონული მიმოწერიდან ირკვევა, რომ ადვოკატი ც. მ. საჩივრის ავტორის საქმის წარმოებისას მონაწილეობდა არჩევნებში და ადვოკატმა, ი. ე.-ის საქმის წარმოებისას, სავარაუდოდ კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა საკუთარი ინტერესები, კერძოდ, არჩევნების გამო, დროის სიმცირიდან გამომდინარე, სათანადო გულისხმიერებით და კეთილსინდიერად არ აწარმოა ი. ე.-ის საქმე. ადვოკატი კლიენტთან ელექტრონული ფოსტით მიმოწერაში ხაზს უსვამს, რომ არჩევნებში მონაწილეობის გამო, დროის ნაკლებობას განიცდიდა და ვერ მოახერხა საჩივრის ავტორის ოჯახში გასვლა, ერთ-ერთ წერილში მითითებულია, რომ ,,არჩევნების გადამკიდეს ამ დრომდე არ ჰქონდა საშუალება ეპასუხა კლიენტის წერილისთვის და ჩამოსვლისას ჩააბარებდა დეტალურ ანგარიშს,“ ადვოკატმა კლიენტს არ აცნობა, რომ საჭირო იყო სააპელაციო ინსტანციაში საქმის

წარმოების გაგრძელებისთვის ახალი მინდობილობის გაფორმება და 2014 წლის 29 სექტემბერს შეწყვიტა კლიენტის წარმომადგენლობა სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო.

5.14 ც. მ.-ს მიერ ი. ე.-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას, დარღვეულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება.

5.15 ადვოკატი ც. მ. კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას აწვდიდა არასრულად, ხშირ შემთხვევაში დაგვიანებით და ზოგჯერ მცდარ ინფორმაციას, რითიც ადვოკატმა დაარღვია შემდეგი მუხლები:

5.15.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან."

5.15.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

5.15.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა."

5.16 ადვოკატი კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მასთან შეთანხმებული წესის მიხედვით. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სრული, შეესაბამებოდეს საქმის მიმდინარეობას და მიწოდებული იყოს კლიენტისათვის გასაგებ ენაზე. კლიენტისათვის ინფორმაციის სრულად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, საგანგებოდ გამოყოფს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის დროული მიწოდებისა და ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულების განმარტების აუცილებლობას.

5.17 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე." ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით

დისციპლინურ საქმეზე №022/10 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები". ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები."

5.18 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატი კლიენტს საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპზე არ აწვიდიდა ინფორმაციას ან არასწორად აწვდიდა მას. კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, თუმცა, ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილებისას ჰქონდა კანონიერი მოლოდინი და იურიდიული ინტერესი, რომ ადვოკატი მის საქმეს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად აწარმოებდა.

5.19 საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ადვოკატთან ელექტრონული მიმოწერის დამადასტურებელი მტკიცებულებები, 2013 წლის 02-04 ოქტომბრის, 2014 წლის 08-09 ივლისის წერილები, 25 ივნისის პასუხი 2014 წლის 21 ივნისის წერილზე; 2014 წლის 10, 11, 13 ივლისის, 2014 წლის 16 სექტემბერს წერილები, რომლებიც წარმოებულია შემდეგ ელ-მისამართებზე: ts.m.; 7.. მიმოწერის თანახმად, ადვოკატი არ აწვდის კლიენტს სრულ და სწორ ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატი ატყობინებს კლიენტს, რომ მის საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული არ იყო, მაშინ როდესაც 2014 წლის 14 მაისს პირველი ინსტანციის სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. კლიენტს, რომელიც წინასწარ არ ყოფილა ინფორმირებული, ადვოკატი წერს, რომ ვერ გამოცხადდებოდა 14 მაისს სასამართლო სხდომაზე, ,,რაც შეეხება ჩემს არ გამოცხადებას, ეგ პრობლემა არ არის, რამდენადაც მოსამართლემ გამოცხადებული მხარეები 5-ჯერ გადაგვაგდო და თვითონაც არ გამოცხადდა პროცესზე. შესაბამისად, ჩემი გამოუცხადებლობა, რომელიც საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული და წარდგენილია შესაბამისი ცნობები, გავლენას ვერ იქონიებდა გადაწყვეტილებაზე." ადვოკატის მიერ სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად ბებიის გარდაცვალების მითითება სასამართლოსადმი წარდგენილ შუამდგომლობაში, კლიენტისათვის უცნობი იყო; მიმოწერით დგინდება, რომ კლიენტმა მხოლოდ ის იცოდა, რომ სხდომის გადადებისათვის შესაბამისი ცნობები წარდგენილი იყო, რაც საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება. ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა სწორ ინფორმაციას, როდესაც 2014 წლის 16 სექტემბერს წერდა, რომ დავა სააპელაციო სასამართლოში იხილებოდა, გადახდილი იყო დამატებით სახელმწიფო ბაჟი - 150 ლარი და ელოდებოდნენ სასამართლო სხდომის ჩანიშვნას;

ფაქტობრივად, სააპელაციო საჩივარზე (საქმე Xბ/XXXX-XX) 2014 წლის 17 ივლისს დადგინდა ხარვეზი, რომლის მიხედვითაც სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ასევე საჩივარს არ ერთვოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარს წარმომადგენელი აწერდა ხელს და წარსადგენი იყო დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი. ხარვეზის შესავსებად მხარეს განესაზღვრა 10 დღის ვადა. ადვოკატი კლიენტს ასევე წერდა, რომ ,,ისინი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ", მაგრამ 2014 წლის 29 სექტემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ ი. ე.-ის წარმომადგენლობითი ფუნქცია თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო შეწყვეტილი ჰქონდა. საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურებისთვის 13 ოქტომბრიდან ახალი ადვოკატი ჩართო საქმეში. ც. მ.-ს მიერ კლიენტისათვის მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის არასრულად/მცდარად/დაგვიანებით მიწოდების დადგენის გამო ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების მოვალეობა.

5.20 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ც. მ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი, რომლის თანახმად ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

5.21 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №037/14 განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული საზღაური, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას."

5.22 ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა სამსახურებრივი შეუთავსებლობის გამო. ურთიერთობის შეწყვეტამდე ადვოკატმა წარმოადგინა მომჩივანის ინტერესები პირველი ინსტანციის სასამართლოში. მხარეებს ხელშეკრულებით დადგენილი აქვთ, რომ საადვოკატო მომსახურება გულისხმობდა მარწმუნებლის ინტერესების წარმოდგენას აღნიშნული დავის ფარგლებში სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებშიც, რაც ამ შემთხვევაში ადვოკატ ც. მ.-ს არ გაუწევია. ადვოკატი მინდობილობის ვადის გასვლის გამო არ იყო უფლებამოსილი მომჩივანი წარმოედგინა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ადვოკატმა მარწმუნებელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ჩაბარებამდე გასაჩივრების ვადის დაცვის მიზნით მოუმზადა სააპელაციო საჩივარი, რომელიც შემდეგ ახალი ადვოკატის დახმარებით დააზუსტა კლიენტმა. ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ადვოკატისათვის გადაცემული საზღაურიდან, 1750 (ათასშვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარიდან რა ნაწილი იყო გათვალისწინებული დოკუმენტების მომზადებისა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საპროცესო წარმომადგენლობისათვის და სააპელაციო/საკასაციო ინსტანციებში კლიენტის ინტერესების წარმოდგენისთვის. შესაბამისად, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის, ვინაიდან მან არ დაასრულა შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა.

5.23 განსახილველ საჩივართან მიმართებაში დადგენილია ადვოკატ ც. მ.-ს მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წარმომადგენლობისათვის მიღებული საზღაურის ნაწილის, რომელიც საკუთარი მომსახურებით სამართლიანად არ გამოუმუშავებია ადვოკატს, კლიენტისათვის დაუბრუნებლობის ფაქტი, რითაც დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი რეგულაცია.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა", ,,ბ" და ,,ე" ქვეპუნქტებით, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ც. მ.-ს /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს - გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/